41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა რეგიონს

ძვირფასო ბათუმელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას.

„განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი ბათუმის მერობის კანდიდატისა და ბათუმის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს ბათუმის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ბათუმი და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო.

ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდი ლარიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10,7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, შესაბამისად ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდი ლარიდან, 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. შესაბამისად, ჩვენი გუნდის მუშაობის შედეგად, შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში, უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ

გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ ბათუმის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა.

იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები: 2013 წელს ბათუმის ბიუჯეტის შემოსავლები სულ 88 მლნ 161 ათასი ლარი იყო, 2021 წლის საპროგნოზო მონაცემებით, 190 მლნ 461 ათას ლარს გაუტოლდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა ბათუმის საკუთარი შემოსავლები, კერძოდ, 2013 წელს არსებული 33 მლნ ლარიდან, 2021 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 100 მლნ ლარს გაუთანაბრდა.

ადგილობრივი ბიუჯეტის ზრდა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის განვითარების მიზნებისა და ამოცანების ეფექტიან განხორციელებას.

ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.

სახელმწიფო პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“** ბათუმის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 23 საწარმო. აღნიშნულ საწარმოებში განხორციელებულმა ინვესტიციამ ჯამურად 74,7 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა. დაფინანსებული პროექტების ფარგლებში, საწარმოებში დასაქმდა 619 ადამიანი.

პროგრამის – **„აწარმოე საქართველოში“ სასტუმროს კომპონენტში** ხელი შეეწყო 8 სასტუმროს მშენებლობას. პროექტების ჯამურმა საინვესტიციო მოცულობამ 19,6 მილიონი ლარი შეადგინა, პროექტების ფარგლებში, დასაქმდა 304 ადამიანი, ხოლო მუნიციპალიტეტს 379 ახალი სასტუმროს ნომერი შეემატა.

„მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში, ბათუმის მუნიციპალიტეტში, „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 1,14 მლნ ლარის გრანტი გაიცა. ჯამურად დაფინანსდა 126 პროექტი, მათ შორის არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით 82, ხოლო ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 44 პროექტი.

2020 წელს, **ბათუმში,** საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, **ტექნოპარკი** გახსნა. ეს არის ფიზიკური სივრცე, სადაც თავმოყრილია ტექნოლოგიური, საგანმანათლებლო და პროფესიონალური რესურსები და წარმოადგენს ერთგვარ პლატფორმას ინოვაციებსა და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ბიზნესების განვითარებისთვის. ტექნოპარკი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალ კამპუსში, პირველ სართულზეა განთავსებული და წარმოდგენილია სამრეწველო ინოვაციების უნივერსალური ლაბორატორია (ფაბლაბი) – უახლესი დანადგარებით. აღნიშნული ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს ქვეყანაში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობას, მაღალკვალიფიციური და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ძალის შექმნას, ინკლუზიური ეკონომიკის განვითარებასა და ქვეყანაში ინვესტიციების მობილიზებას.

- **მომავალში გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტებისა თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად დაიხვეწება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამები და გაიზრდება მათი ეფექტიანობა;**

ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ

„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან, 2019 წელს (პანდემიამდე), 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.

ბოლო წლების განმავლობაში, ხელისუფლების მხრიდან ბათუმის ტურისტული პოტენციალის ათვისებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. შესაბამისად, ადგილობრივი მთავრობა ცდილობს, გაატაროს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ბათუმში მაქსიმალურად ხელს შეუყობს საერთაშორისო თუ შიდა ტურიზმის განვითარებას. გარდა ამისა, ადგილობრივი მთავრობის პრიორიტეტია, ბათუმი ტურისტებისთვის ყველა სეზონზე დასვენებისთვის მიმზიდველი გახდეს.

მზარდი ტურისტული ნაკადების ფონზე, მუდმივად მზარდია ბათუმში განთავსების ადგილების რაოდენობა. თუ 2013 წელს, ბათუმში განთავსების 10 890 ადგილი იყო, 2020 აღნიშნული მონაცემი გაორმაგდა და 26 515 ადგილი შეადგინა. 2019 წლის მონაცემებით (პანდემიამდე), აჭარაში, ყველა ადმინისტრაციული საზღვრის გავლით, საერთაშორისო არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა 2 მილიონ 269 ათასს შეადგენს.

2013-2020 წელს, **ბათუმის ბულვარის მოვლა-პატრონობაზე,** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან ჯამურად 42 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. აღსანიშნავია, რომ ბულვარის სიგრძე ეტაპობრივად გაიზარდა და უკვე 7 კილომეტრს გადააჭარბა.

აჭარის ტურისტული პოტენციალის შესახებ აქტიურად მიმდინარეობს მიზნობრივი პიარკამპანია. რეგიონის შესახებ სარეკლამო-საინფორმაციო სტატიები განთავსდა არაერთ წამყვან საერთაშორისო გამოცემაში, მათ შორის ისეთ წამყვან ტელევიზიებში, როგორებიცაა „ევრონიუსი“, „დოიჩე ველე“ და სხვა.

- **მომავალში, „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს;**

ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ქალაქის ეფექტიანი სატრანსპორტო პოლიტიკის შემუშავება ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი და პრიორიტეტული მიმართულებაა. ამ თვალსაზრისით, ქალაქის ტერიტორიაზე დაგეგმილია მთელი რიგი ღონისძიებები: პარკირების სატარიფო პოლიტიკის შემუშავება და გატარება; ქუჩების მიღმა ავტომატიზირებული მიწისზედა პარკირების ადგილების მოწყობა; აღსრულების გაუმჯობესება და სხვა.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს **მუნიციპალური ავტობუსების** პარკის განახლება. 2016 წლიდან ხორციელდება აღნიშნული პროექტის მე-2 ფაზა – ბანკის შეღავათიანი სესხისა და E5P გრანტის ფარგლებში – მოხდება 40 ერთეული დიზელისა და 10 ერთეული ელექტროავტობუსის შეძენა.

- **ბათუმი იქნება ამიერკავკასიაში პირველი ქალაქი, სადაც ელექტროავტობუსები იმოძრავებს;**
- **მიკროავტობუსებში, მუნიციპალური ავტოტრანსპორტის მსგავსად, დაინერგება უკონტაქტო გადახდის სისტემა;**

41 ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ – ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ბათუმის განახლებული ცენტრალური პარკი

გარემოს დაცვა

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების თვალსაზრისით, არაერთი რეფორმა გატარდა. ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისთვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2021 წელს, **პირველად, საქართველოს ისტორიაში,** საქართველოს 4 დაცული ტერიტორია: მტირალასა და კოლხეთის ეროვნული პარკები და კინტრიშისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიები „კოლხური ტყეებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების“ სახელით, UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის ნუსხაში შევიდა და მსოფლიოს 213 ბუნებრივი მემკვიდრეობის ნუსხაში ღირსეული ადგილი დაიკავა. გადაწყვეტილება ჩინეთის ქალაქ ფუჟოუში, UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 44-ე სესიაზე მიიღეს. მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ტერიტორიები მდებარეობს საქართველოში, აჭარის ა/რესპუბლიკაში, გურიასა და სამეგრელო-ზემო სვანეთში. UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ტერიტორიები, წარმოადგენს კავკასიის ეკორეგიონისა და შავი ზღვის აუზის უმნიშვნელოვანეს ნაწილს. კოლხური ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიები გამოირჩევა მისი უნიკალური ეკოსისტემებითა და მდიდარი ბიომრავალფეროვნებით.

გარემოსდაცვითი ღონისძიებები და ახალი მწვანე სივრცეების მოწყობა ბათუმის ხელისუფლების ერთ-ერთი ამოცანაა. ქალაქში საცხოვრებელი გარემოს მდგრადი განვითარების მიზნით, ბათუმის მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება – ღია/სარეკრეაციო სივრცეების შექმნა, მწვანე საფარის გაზრდა და შესაბამისი მართვის სისტემების დანერგვა.

2019 წლის ბოლოსთვის მომზადდა ბათუმის **მწვანე ქალაქების სამოქმედო გეგმა** (GCAP), რომლითაც განისაზღვრა ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების პრიორიტეტული მიმართულებები.

გარდა ამისა, აჭარაში დაწყებულია **მყარი ნარჩენების მართვის პროექტი,** რომელზეც გათვალისწინებულია 12 მილიონი ევროს გამოყოფა. შედეგად, აჭარაში და საკუთრივ ბათუმში, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ეკოლოგიური მდგომარეობა.

რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება,** მათ მიერ გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის შესწავლის, ასევე გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით.

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს,** ავრცელებს ამინდის პროგნოზებსა და გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ.

გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ ყოველწლიურად (შემოდგომა-გაზაფხულის ფორმატი) ხორციელდება **სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი,** ფორსმაჟორულ სიტუაციაში მდგომარეობის ოპერატიული შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით.

გარემოსდაცვით სფეროში ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო ახორციელებს მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტს ქ. ბათუმში, სადაც 2021 წელს დაიწყო ახალი **რეგიონული ოფისის მშენებლობა.**

- **სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

ინფრასტრუქტურა

ხელისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ან ახლის შექმნა. როგორც აჭარაში, ისე უშუალოდ ბათუმში, დაგეგმილია მთელი რიგი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მთლიანად რეგიონის განვითარებას.

უახლოეს წლებში, **ბათუმის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება** ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი საზრუნავი იქნება. ბათუმის მერია გეგმავს აქტიური ღონისძიებების გატარებას ქალაქის ინფრასტრუქტურის აღდგენის თვალსაზრისით. მხოლოდ 2019 წელს ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია-ექსპლოატაციის კუთხით 54 მილიონ ლარზე მეტის დაიხარჯა.

ბათუმის ნაპირდაცვის, სანაპირო ზოლის მოწყობისა და ბათუმის სანაპირო ზოლის ეროზიისაგან დაცვის მიზნით, აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით განხორციელდა შესაბამისი პროექტი, რომლის ჯამურმა საინვესტიციო მოცულობამ 52 მილიონ ლარს გადააჭარბა.

ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე აქტიურად მიმდინარეობს **გაზიფიცირების სამუშაოები.** 2013-2020 წლებში, გაზიფიცირებულია ჯამურად 5 064 აბონენტი.

ბათუმის საზღვაო ნავსადგურში უმნიშვნელოვანესია მულტიმოდალური კარბამიდის ტერმინალის პროექტის განხორციელება, რაშიც 25 მილიონი დოლარის ინვესტიცია ჩაიდო. ახალი ტერმინალი წელიწადში გადაამუშავებს და გადაზიდავს 1 500 000 ტონა მინერალურ სასუქს.

პანდემიის მიუხედავად, **ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში** 17 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, გაფართოებისა და განახლების შედეგად, მას წელიწადში 1 200 000 მგზავრის მომსახურება შეეძლება.

ამასთან, ბათუმში გაზრდილი ტურისტული ნაკადებისა და, ზოგადად, მაღალი ინტენსივობის ფონზე, ელექტროენერგიის ძაბვის ხარვეზები პრობლემურობით ხასიათდება. აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად განხორციელების ფაზაშია ენერგეტიკული პროექტები (220 კმ-იანი ხაზი „ახალციხე-ბათუმი“, ელექტროგადამცემი ხაზი „ჯვარი-ხორგა“), რომელთა დასრულების შემდეგ, ბათუმის ელექტროენერგიის მიწოდების საიმედოობა საგრძნობლად ამაღლდება.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ბათუმის შემოვლითი გზის პროექტი, რომლის საინვესტიციო მოცულობა 329 მილიონ ლარს აღემატება.

ᲐᲠᲩᲘᲚ ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ: „ᲑᲐᲗᲣᲛᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲔᲙᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲐᲓ ᲡᲣᲤᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ!“

ᲐᲠᲩᲘᲚ ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲡ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲐ ᲐᲠ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲘᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲔᲚᲘᲐ, ᲠᲐᲪ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ. ᲞᲐᲜᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲐᲛ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ, ᲒᲣᲜᲓᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲫᲚᲝ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲛ – „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“ ᲘᲒᲘ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲛᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲐᲓ ᲬᲐᲠᲐᲓᲒᲘᲜᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲓ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲗᲣᲛᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲒᲣᲜᲓᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ. ᲛᲘᲡᲘᲕᲔ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲝᲗᲮᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲑᲐᲗᲣᲛᲘ ᲛᲬᲕᲐᲜᲔ, ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ.

ᲛᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲐᲠᲩᲘᲚ ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ ᲒᲕᲘᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ, ᲠᲐ ᲒᲖᲐ ᲒᲐᲜᲕᲚᲝ ᲛᲔᲠᲝᲑᲐᲛᲓᲔ ᲓᲐ ᲠᲐ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲑᲐᲗᲣᲛᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ:

– დავიბადე და გავიზარდე ბათუმში, ლევან ჩიქოვანისა და მალვინა კილაძის ოჯახში. მშობლებს თბილისის ზოოტექნიკური ინსტიტუტი აქვთ დამთავრებული და ორივე მეცხოველეობის სპეციალისტია. მამა პენსიაზეა, მაგრამ დღემდე, სოფლის მეურნეობის მიმართულებებთან დაკავშირებით, კონსულტაციებისთვის ძალიან ხშირად ურეკავენ. არის სელექციის, ჯიშთა განახლების სპეციალისტი, ზოოტექნიკოსი. წლების განმავლობაში კვლევით ინსტიტუტში კითხულობდა ლექციებს. იყო სხვადასხვა, მათ შორის საერთაშორისო პროექტში ჩართული, როგორც კონსულტანტი. დედა „წითელ ჯვარში“ და სკოლაში ექთნად მუშაობდა. თუმცა, ბოლო 15 წელია, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში, „აგროსერვისცენტრის“ სპეციალისტია. ექვსივე მუნიციპალიტეტში, ფერმერებისთვის და დაინტერესებული პირებისთვის ატარებს ტრენინგებს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროგრამის თაობაზე. ჩემი მშობლები ჯგუფელები იყვნენ და მათი სიყვარულის ისტორიაც ინსტიტუტიდან მოდის. შემდეგ კი, შექმნეს ოჯახი და იმ დღიდან მოყოლებული მთელი ცხოვრება თავიანთი პროფესიით მუშაობენ. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი დიდი ოჯახის ყველა წევრი ათეულობით წელია, მხოლოდ სახელმწიფო სამსახურებში მუშაობს და ემსახურება ქვეყანას. გვქონდა რიგითი საჯარო მოსამსახურის შემოსავალი.

ჩემი მშობლები ბავშვობიდან გვინერგავდნენ წიგნის სიყვარულს და თავს არ ზოგავდნენ იმისთვის, რომ მიგვეღო კარგი განათლება. მე-9 კლასიდან ჰუმანიტარული მიმართულება ავირჩიე, თამამად ვიტყვი, რომ ყველა საგანს ძალიან კარგად ვსწავლობდი.

– ანუ ბეჯითი და აქტიური მოსწავლე იყავით?

– ასე გამოდის. ბათუმის №1 სკოლა დავამთავრე. სკოლამ განასაკუთრებული როლი შეასრულა ჩემს ცხოვრებაში, როგორც განათლების, ისე მეგობრებისა და ქალაქთან ურთიერთობის თვალსაზრისით. ზოგადად, ძალიან აქტიური ბავშვი ვიყავი. სკოლაში ბევრ სპორტულ და სხვა სახის ღონისძიებაში ვმონაწილეობდი. ვთამაშობდი ფეხბურთს, კალათბურთს, გამოვდიოდი მძლეოსნობის სხვადასხვა სახეობაში, მათ შორის, სხვადასხვა დისტანციაზე სირბილში, ასევე „მხიარულთა და საზრიანთა კლუბისა“ და მუსიკალურ ოლიმპიადებში ვმონაწილეობდი. ვიყავი არაერთი ტურნირის გამარჯვებული. დღემდე გატაცებული ვარ ჭადრაკით და საკმაოდ კარგადაც ვთამაშობ. შედარებით პროფესიულ დონეზე ბერძნულ ჭიდაობას ვჭიდაობდი, ახლანდელ კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩაზე, სპორტსკოლაში. ეს შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. მიხარია, რომ ფონდი „ქართუს“ დახმარებით, დასრულდა მისი რეაბილიტაცია. მშობლებისთვის ჩვენი სასკოლო თუ სპორტული წარმატება უდიდესი სიხარულის მომტანი იყო, ჩვენთვის კი, რა თქმა უნდა, მოტივი იმისა, რომ უფრო გაგვეხარებინა ისინი ჩვენი წარმატებით.

– სპორტული კარიერის აწყობაზე არასდროს გიფიქრიათ? იურიდიული განათლების მიღება ვისი გავლენით გადაწყვიტეთ?

– პროფესიული განათლების არჩევაში უდიდესი როლი ითამაშეს ბიძებმა, მათ შორის დედის ძმამ – ბათუმის სასპორტო სკოლის დირექტორმა, თამაზ კილაძემ, რომელიც იყო წარმატებული სპორტსმენი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ძიუდოში. რაღაც ეტაპამდე მეგონა, რომ ტექნიკურ მიმართულებას ავირჩევდი. ეს გარკვეულწილად ფიზიკა-მათემატიკოსი ბაბუის, იაკობ კილაძის დამსახურება იყო, რომელიც 1-ლი სკოლის დირექტორიც გახლდათ. გარდა ამისა, აჭარაში ჩამოყალიბდა მათემატიკურ-კომპიუტერული სკოლა-ბანკი. სადაც, მთელი ქალაქის მასშტაბით წარმატებულ მოსწავლეებს არჩევდნენ სკოლებიდან და წლების განმავლობაში მისი ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი ვიყავი. ჩემი ხელმძღვანელი იყო აწ გარდაცვლილი, ძლიერი მათემატიკოსი დურსუნ ბალაძე. საბოლოოდ იურისპრუდენციაზე გავაკეთე არჩევანი და ჩავაბარე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. პროფესიის არჩევაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ასევე, მამიდის მეუღლეს – ვლადიმერ ტაბაღუას, რომელიც წარმატებული ოფიცერი, იუსტიციის სამინისტროს პოლკოვნიკი გახლდათ. დღესაც, 80 წლის ასაკში – წარმატებული ადვოკატია.

– შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებში წლების განმავლობაში მუშაობდით. ამ სფეროში თქვენი საქმიანობა წარმატებული იყო?

– დავიწყე რიგითი სპეციალისტობიდან, გავიარე სხვადასხვა საფეხური და ბოლოს გავხდი უწყებების ხელმძღვანელი. წლების განმავლობაში ვემსახურები ჩემს კუთხეს, ქალაქს, ქვეყანას, შეიარაღებულ ძალებს. კრიმინალთან ბრძოლაში წარმატებით ვმუშაობდით, ეს ნიშნავს, რომ სწორ ადამიანებთან ერთად, სწორად ვაკეთებდი ჩემს საქმეს. იყო ყველაზე მგრძნობიარე მომენტიც, მინდა გავიხსენო 2008 წლის აგვისტოს ომი, რომელშიც ჩემს დანაყოფთან ერთად ვიმყოფებოდი. ამ ომში დავკარგე კოლეგები, მეგობრები. უკვე მეცამეტე წელია, აგვისტოს დასაწყისს ვხვდებით სევდით, მოგონებებითა და ამავდროულად, სიამაყით, რადგან იმ ადამიანების თანამებრძოლები ვიყავით, ვინც საკუთარი სიცოცხლე გაწირა ქვეყნისთვის. ვცდილობ, ომის დღეები არ გავიხსენო. რთულია... იყო ისეთი შემთხვევებიც, პოზიცია ახალდატოვებული გვქონდა და ლოკაცია იბომბებოდა, ზურგში ჭურვის სიმხურვალეს ვგრძნობდით. ეს იყო ყველაზე ცუდი განცდა – ყოველ წუთს ცაში ვიყურებოდით, რომ ჭურვებს დაგვიშენდნენ და მერეც, როცა ომი დასრულდა, დამიჭერია თავი, რომ უმიზეზოდ, ხშირად ვუყურებდი ცას...

– ძალოვან უწყებებში 10-წლიანი საქმიანობის შემდეგ, 2013 წელს აჭარის მთავრობაში გადასვლის გადაწყვეტილება რატომ მიიღეთ და „ქართული ოცნების“ რიგებს რატომ შეუერთდით?

– წლების განმავლობაში, როგორც უკვე გითხარით, ვიყავი სამხედრო მოსამსახურე, შემდეგ კი, ჩემს ცხოვრებაში ახალი ეტაპი დადგა და „ქართული ოცნების“ რიგებს შევუერთდი.

დაიბადა 1981 წლის 24 დეკემბერს, ბათუმში.

1999 წელს დაამთავრა ქ. ბათუმის №1 საშუალო სკოლა, ამავე წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 2004 წელს და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2004-2005 წლებში მუშაობდა აჭარის ა/რ პროკურატურაში, საგამოძიებო ნაწილის უფროსის თანაშემწის პოზიციაზე; 2005 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ა/რ სამმართველოში უფროს გამომძიებლად; 2006 წელს მუშაობა განაგრძო საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის აჭარის სამმართველოში და 2010 წლამდე სხვადასხვა პერიოდში იკავებდა უფროსი გამომძიებლის, სპეციალური ოპერატიული განყოფილების უფროსისა და სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობას. 2010 წელს დაინიშნა საქართველოს შსს გენერალური ინსპექციის დასავლეთის რეგიონული სამმართველოს გმს ინსპექტორად. 2010-2013 წლებში. იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს უფროსი; 2013-2017 წლებში – აჭარის ა/რ მთავრობის აპარატის მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი; 2017-2018 წლებში – აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების – საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის უფროსი. 2018-2020 წლებში მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის უფროსის პოზიციაზე. 2020 წლის 16 ივლისიდან დღემდე არის ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

– აჭარის გზების დეპარტამენტს ხელმძღვანელობდით. რა პროექტი განახორციელეთ ამ თანამდებობაზე ყოფნის დროს?

– როცა გზების დეპარტამენტში მივედი, უკვე ბევრი მნიშვნელოვანი საქმე იყო გაკეთებული. ახალი გუნდითა და ახალი ხედვებით დავიწყეთ აქტიური მუშაობა. თუკი 2012 წლამდე სულ 200 კმ შიდასაუბნო გზა იყო კეთილმოწყობილი, ჩვენ 3800 კმ-მდე გავზარდეთ ჩვენი სამოქმედო ტერიტორიის არეალი. დავიწყეთ არასტანდარტული გზების ბეტონით მოწყობის პროგრამა და ყოველწლიურად 300-ზე მეტი ხელოვნური ნაგებობის მშენებლობა. ბევრი პროექტი განვახორციელეთ – ზემო აჭარაში, ცენტრალური გზის დამაკავშირებელი ყველა გზა ადმინისტრაციულ ცენტრებამდე, ხელვაჩაურის გზა, ბათუმის შემოვლითი გზა, რომელიც ახლა სრულდება, ჩემი მუშაობის პერიოდში დაიწყო. როცა დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოზიციაზე დავიწყე მუშაობა, წლიური ბიუჯეტი დაახლოებით 37 მილიონ ლარს შეადგენდა, 2 წლის განმავლობაში კი, შევძელით ბიუჯეტის 63 მილიონ ლარამდე გაზრდა.

– ასეთივე წარმატებული მერი იყავით?

– ბოლო 1 წელია აქტიურად ვარ ჩართული ბათუმის სამეურნეო საქმიანობაში. ამ პერიოდში 70-ზე მეტი ქუჩისა და ჩიხის რეაბილიტაცია განხორციელდა. დავიწყეთ ახალი სოციალური სახლებისა და საბავშვო ბაღის მშენებლობა. აღსანიშნავია, რომ ინფრასტრუქტურული ღონისძიებების ფარგლებში, ქალაქში ისეთი პროექტების განხორციელება დაიწყო, როგორიც ბოლო ათწლეულების განმავლობაში არ განხორციელებულა. მაგალითად, ბაგრატიონის ქუჩის რეაბილიტაცია, სადაც ძველი და ამორტიზებული ფილების ნაცვლად ასფალტის საფარის დაგება მიმდინარეობს. ასევე, სულაბერიძისა და გოგოლის ქუჩების სრული კეთილმოწყობა და ე.წ. ბარცხანის ხიდი. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ბათუმში შეიქმნას რაც შეიძლება მეტი რეკრეაციული და მწვანე სივრცე. ვიწყებთ ჩაქვში ახალი რეკრეაციული სივრცისა და ცხოველთა თავშესაფრის მშენებლობას. მიმდინარეობს და დავგეგმეთ 20-ზე მეტი სკვერის რეაბილიტაცია. წლების განმავლობაში ჩვენი თანამოქალაქეების მოთხოვნა იყო სპორტული ინფრასტრუქტურის, მოედნების და ტრენაჟორების განახლება, რისი განხორციელებაც აქტიურად დავიწყეთ. რაც შეეხება ბიუჯეტს, დღეს ბათუმის ბიუჯეტი ისტორიულ მაქსიმუმზეა – 204 მილიონ 800 ათასი ლარია ხარჯვითი ნაწილი. სასტარტო ბიუჯეტთან მიმართებაში 47 მილიონით არის გაზრდილი. ეს ნიშნავს, რომ არათუ გაჩერდა რომელიმე პროექტი, პირიქით, ახალი განვითარებისკენ ავიღეთ გეზი.

– კოვიდ 19-ის პირობებში მერიის ასეთი მუშაობა იმას ამტკიცებს, რომ პანდემიის მართვაც ეფექტური იყო?

– ბუნებრივია. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი გუნდის მთავარი მიმართულება იყო ეკონომიკის სწრაფი აღდგენა, რამაც საშუალება მოგვცა, მეტი კონცენტრაცია მოგვეხდინა და საბიუჯეტო რესურსები სხვადასხვა მიმართულებით მიგვემართა. მათ შორის, აღსანიშნავია ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, რაზეც წელს 17 მილიონი ლარი იხარჯება. პანდემიის ორივე ეტაპზე დავეხმარეთ სპეციალური საჭიროებების მქონე ოჯახებს. სოციალური ფონის გაუმჯობესება ჩვენთანაც ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, ისევე, როგორც სამუშაო ადგილების შექმნა. სეზონის დაწყებამდე, ჯანდაცვის სამინისტროს დასაქმების სააგენტოსთან ერთად, 1008 ახალი სამუშაო ადგილი შევთავაზეთ მოსახლეობას. მათ დასაქმებისა და განვითრების კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა უნდა მივცეთ. რაც შეეხება ტურიზმს, დადებითი დინამიკა აშკარაა. პროგნოზები დამაიმედებელია და გვაქვს ხელშესახები ზრდა ამ მიმართულებით.

– დასაქმებისთვის მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის სახელმწიფო პროგრამებიც. სარგებლობენ ბათუმელები?

– ბევრი პროგრამის განმახორციელებელია აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო. შესაბამისად, ბენეფიციართა რაოდენობა, განსაკუთრებით მაღალმთიან აჭარაში, მეცხოველეობის კუთხით, დიდია. არის კონკრეტული პროგრამები, რომლებიც ეფექტურად გამოიყენება, მათ შორის, მემცენარეობის მიმართულებით. მოცვის, კაკლის, ციტრუსისა და სხვადასხვა კულტურის თანადაფინანსებითი პროგრამები აჭარაში გამართულად მუშაობს.

– ბატონო არჩილ, ბევრი გარდამავალი პროექტი ჩამოთვალეთ. მათი დასრულების გარდა, რას ჰპირდებით მოსახლეობას?

– ცხადია, დაწყებული პროექტები უნდა დასრულდეს. უმთავრესი, რაც ერთი წლის წინ დავაანონსე, იყო განაშენიანების გენგეგმის შემუშავება. ეს უკვე შევძელით. უახლოეს მომავალში, ეტაპობრივად მივაწვდით მოსახლეობას ინფორმაციას, თუ როგორ უნდა განვითარდეს ბათუმი. ეს მოხდება საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე და მათი ჩართულობა მნიშვნელოვანია. მსგავსი დოკუმენტი ბათუმს არ ჰქონია. ეს იქნება კონსტიტუცია და ქვაკუთხედი, რომელზეც უნდა აიგოს სხვა დოკუმენტები – ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის საყრდენი გეგმა, სატრანსპორტო დოკუმენტი. ვმუშაობთ ველოსისტემის გენგეგმაზე, ეკოლოგიური და რეკრეაციული ადგილების დოკუმენტზე. ჩვენი პრიორიტეტი იქნება გამწვანება, ლანდშაფტური დაგეგმარება და, რა თქმა უნდა, ახალ რეკრეაციულ ზონებს ბმა უნდა ჰქონდეს ბოტანიკურ ბაღთან და ბულვართან. რც შეეხება მუნიციპალურ ტრანსპორტს, წლის ბოლომდე 40 ახალი საზოგადოებრივი ავტობუსი დაემატება მუნიციპალურ ავტოპარკს. სამომავლოდ დაგეგმილი გვაქვს ყველა ძველი ავტობუსის ახლით ჩანაცვლება. ბათუმისთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა გახლავთ ნარჩენების მართვა და ეკოლოგია, მითუმეტეს, რომ აქ არის ღია ტიპის ნაგავსაყრელი. რამდენიმე უკანონო ნაგავსაყრელი უკვე გავაუქმეთ და ნარჩენები გავიტანეთ. წლის ბოლომდე დაიხურება ეს ნაგავსაყრელიც. ქობულეთში, ცეცხლაურში უკვე გამართულია თანამედროვე სტანდარტების, ეკოლოგიურად სუფთა, ახალი, მყარი ნარჩენების მართვის ობიექტი, სადაც ღია ტიპის ნაგავსაყრელიდან მოხდება ნარჩენების გადამუშავება. არსებული ნაგავსაყრელის ადგილი კი, რეკრეაციულ ზონად გადაკეთდება. აღსანიშნავია, რომ წყლის სისტემების მოწესრიგების მიმართულებით ბევრი რამ უკვე არის გაკეთებული. მეხუთე ფაზის განხორციელების აუცილებლობის წინაშე ვდგავართ და აუცილებლად უნდა გადავჭრათ ეს საკითხი. რაც შეეხება განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ მიმართულებას, პანდემიიდან გამომდინარე, ბევრი ღონისძიება გაგვიუქმდა, თუმცა, არაერთი პროექტი განვახორციელეთ. მაგალითად, დავგეგმეთ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის რეაბილიტაცია, რომელიც, ამავდროულად არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. ასევე, ბულვარში მდებარე კულტურის ცენტრის შენობას უტარდება რეაბილიტაცია. ბევრი გეგმა გვაქვს და ბევრ კარგ საქმეს გავაკეთებთ. ბათუმი 4 წლის მერე იქნება თანამედროვე ტიპის ევროპული ქალაქი, უფრო მეტად განვითარებული, ეკოლოგიურად სუფთა და მწვანე, გამართული ინფრასტრუქტურით, რომელიც ყველა გამოწვევას უპასუხებს.

ჩიქოვანების ოჯახის სიმტკიცის საიდუმლო

ჩიქოვანების ოჯახი, შეიძლება ითქვას, საჯარო მოხელეების სამჭედლოა, თან ისეთი პროფესიონალების, პენსიაზე გასვლის შემდეგაც, კონსულტაციებისთვის რომ უკავშირდებიან და აზრს ეკითხებიან.

ოჯახის ყველა წევრი ქვეყნის სამსახურშია. ახდა კანდიდატის მშობლების ოცნებაც – შვილებს ესწავლათ და დამოუკიდებლები, წარმატებულები ყოფილიყვნენ. ძმებ ჩიქოვანებს ბათუმში კარგად იცნობენ. თავად ბატონი არჩილი ბოლო პერიოდში მერის მოვალეობას ასრულებდა. ძმა, დავით ჩიქოვანი საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში მუშაობს. რძალი, ნინო ჩიქოვანი კი – ბათუმის იუსტიციის სახლში.

კანდიდატის მეუღლე, მარიამ დავითაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს თანამშრომელი და იმავდროულად, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტია. მაგისტრატურა გერმანიაში დაამთავრა ფრიდრიხ ვილჰელმის უნივერსიტეტში გერმანული სამართლის განხრით.

არჩილი და მარიამი ერთმანეთს ბავშვობიდან იცნობენ – პრაქტიკულად ერთ ეზოში გაიზარდნენ. საერთო სამეგობრო ჰყავთ. მათი ოჯახები ყოველთვის მეგობრობდნენ და ეს, დაოჯახების გადაწყვეტილების მიღებისას, გარკვეულ ბარიერადაც ეჩვენებოდათ. თუმცა, არაერთი ბარიერი ღირსეულად გადალახეს და 2017 წელს ძლიერი, ქართული ოჯახი შექმნეს. ამბობს, რომ მათი ოჯახის სიმტკიცის საიდუმლო დიდი სიყვარული და ისაა, რომ ერთმანეთს ძალიან კარგად იცნობენ და ენდობიან. წყვილს სამი შვილი ჰყავს – ნატა, დავითი და გიორგი.

მუდმივად გაწერილი გრაფიკის გამო, თავისუფალი დრო ხშირად არ რჩება, მაგრამ, როგორც კი გათავისუფლდება, გული ოჯახისკენ უწევს. ცდილობს, ოჯახის წევრებსა და მეგობრებთან ურთიერთობით დატკბეს. ძალიან უყვარს, როცა მეგობრებს, ნათესავებს სტუმრობენ ან თავად მასპინძლობს მათ. ბათუმელები რომ იტყვიან „სუფრა არ ლაგდება“, ასეთი ოჯახი აქვს – თუკი შინ არიან, საყვარელი ადამიანებისთვის მათი სახლის კარი ყოველთვის ღიაა. შინაურების გარემოცვაში შეიძლება წაიმღეროს კიდეც – ბავშვობაში სკოლის გუნდში მღეროდა, ჯაზის, გემოვნებიანი მუსიკის და ფოლკლორის მოტრფიალეა და ხალხურ სიმღერებს თავადაც ასრულებს, მხოლოდ ვიწრო წრეში.

თუ ამინდიც ხელს უწყობს, თავისუფალ დროს, ოჯახთან ერთად ბათუმის ულამაზეს ბულვარში გაისეირნებს. ბოლო პერიოდში ხშირად ვეღარ ახერხებს, მაგრამ იყო დრო, წლების განმავლობაში, მისი დილა აქ, ბულვარში, 6-7 საათზე იწყებოდა. ბათუმელებისთვის დღის ასე დაწყება უცხო არ არის. დიდი სიამოვნებაა მზის ამოსვლისთანავე, თანაქალაქელების მისალმება, მოკითხვა, ბათუმური ამბების გაგება. თითოეული ბათუმელის სატკივარი მისი სატკივარიცაა, ლხინი – მისი ლხინიც.

მომდევნო 4 წელიც ამ რეჟიმში აპირებს ცხოვრებას. ამბობს, რომ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, მშობლიური ბათუმის განვითარებისთვის მაქსიმალურად დაიხარჯება და, გუნდთან ერთად, ბევრ კარგ საქმეს გააკეთებს. გამარჯვებაში დარწმუნებულია – მიაჩნია, რომ ბათუმელები მასაც დაუჭერენ მხარს, „ქართულ ოცნებასაც“ და პარტიის მიერ წარდგენილ, საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის „ნამდვილ ბათუმელ“ კანდიდატებსაც.

ჯანმრთელობის დაცვა

„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება. 2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, ბათუმის მუნიციპალიტეტზე გამოყოფილია 170 305 641 ლარი, დაფინანსდა 341 814 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (25 580 393,4 ლარით 1 329 935 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (15 764 780 ლარით 201 101 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (91 567 180 ლარი 64 230 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (31489 464 ლარით 32 718 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (11 064 797 ლარით 18476 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (8 880 669 ლარით 13160 შემთხვევა). გაიზარდა **ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.**

ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში (ივლისის მდგომ.), პროგრამით, 2017-2021 წლებში, ბათუმის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 16 420 ბენეფიციარი (694 542 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით **დაინერგა 5 ახალი ვაქცინა.** 2020 წელს, ბათუმის მუნიციპალიტეტში, იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი 85,2% იყო. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, მუნიციპალიტეტში სტაციონარული მკურნალობით ისარგებლა 956-მა (2 401 006 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 18 624-მა პაციენტმა (1 587 952 ლარი). **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, **ბათუმის მუნიციპალიტეტში** ანტენატალური სერვისი მიიღო 1 516 934-მა (დაფინანსება 67 006 ლ), მედიკამენტები – 5 701-მა ორსულმა.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **ბათუმის მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 7 863 პირი (1 494 360 ლ).**

2012 წლის შემდეგ, **ბათუმის** მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. ბათუმში, 2013-2021 წლებში სულ 1413 შემთხვევა 2 626 594 ლარით დაფინანსდა.

2013 წელთან შედარებით **გაიზარდა ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება.** შესაბამისად, 2012-2021 წლებში, განხორციელდა და დღესაც მიმდინარეობს 29 მუნიციპალური პროგრამა, რითაც ათასობით ბენეფიციარი სარგებლობს. მათ შორის: ჯანმრთელობის დაცვა/შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკურორტო სამკურნალო რეაბილიტაცია, ბათუმში მცხოვრებ 35-55 წლის ქალთა ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა და პრევენცია, ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია, სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურეობა, განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ადრეული რეაბილიტაცია, მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება, მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა, თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება და სხვ.

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.
- 2021 წლიდან იგეგმება სამედიცინო მომსახურების პროგრამით ქირურგიული მომსახურების განხორციელება სარეიტინგო ქულის გარეშე.

სოციალური დაცვა

2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.

2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები: 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი -275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **ბათუმის მუნიციპალიტეტში** სახელმწიფო პენსიის მიმღებია (01.04.2021 წ. მდგომ) 23 526 პირი. 2012 წლის შემდეგ 3,03-ჯერ – 20 615 939 ლარიდან 62 475 965 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, მუნიციპალიტეტის ასაკით პენსიონერთა საპენსიო ანაზღაურებაზე სულ 359 876 558 ლარი დაიხარჯა. **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვისა** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **ბათუმში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04. 2021მდგომ) 970 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 3-ჯერ – 1 516 200-დან 4 510 080 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 31579 593 ლარი გაიცა.

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. შემწეობები. **ბათუმის მუნიციპალიტეტში,** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 4233 ოჯახია (01.04.2021 წ. მდგომ). 2012 წლის შემდეგ, 6,4-ჯერ – 1 302 ათასიდან 9 634 ათას ლარამდე გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, საარსებო შემწეობაზე სულ დაიხარჯა 47 910 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონერებზე – 5680 ათასი ლარი, შშმ პირებზე – 3849 ათასი, ბავშვებზე – 22 396 ათასი ლარი.

შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებული პირთა წრე ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – ბათუმში**,** სოციალური პაკეტით სარგებლობს 7053 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 8,1-ჯერ – 1 447 510-დან 11 810 959 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 67 967 444 ლარი.

ბათუმის მუნიციპალიტეტში 4081 დევნილია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 1 111 770 ლარიდან 2 246 985 ლარამდე გაიზარდა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 16 451 164 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან ქ. ბათუმში დაკმაყოფილდა 602 ოჯახი, მათ შორის: 212 დევნილ ოჯახს გადაეცა ბინა ახალაშენებულ და რეაბილიტირებულ კორპუსებში, პროექტით „სოფლად სახლი“ სახელმწიფომ სახლი 34 ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 701 ოჯახს დაუკანონდა. მიმდინარე წლის ბოლომდე, ქვეყნის მასშტაბით დამატებით 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება.

2013-2021 წლებში გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფოს მიერ 1997 **ეკომიგრანტი** ოჯახი დაკმაყოფილდა ქვეყნის მასშტაბით. 2013-2021 წლებში 667 ეკომიგრანტ ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთები, ხოლო 386 დაკანონების პროცესშია. **ქ. ბათუმის ტერიტორიაზე,** 2013 წლიდან დღემდე, საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდა 393 ეკომიგრანტი ოჯახი, აქედან: თამარის დასახლებაში აშენებულ კორპუსებში შესახლდა 174, ხოლო ლეონიძის ქუჩაზე აშენებულ კორპუსებში ამხანაგობა ,,წაბლანა 2015“-ში – 219 ოჯახი. მიმდინარეობს ქ.ბათუმში (მეჯინისწყლის დასახლება), მრავალბინიანი (582 ბინა) საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა 582 ოჯახისათვის (38 745 999 ლარი, მიმდინარე.

ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან ქ. ბათუმისთვის – 5 650 525 ლარი.

სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს ქ. ბათუმში ჩართული იყო 1536 ოჯახი, 2021 წელს – 1870. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, ქ. ბათუმში, 2020 წელს, ისარგებლა 666-მა ოჯახმა, 2021 წ. (ივლისის მონაცემებით) – 788-მ. **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტით დახმარებასთან ერთად, დამატებით გამოიყო 100 ლარი (6 თვით), ბათუმში, პროგრამაში 2020 წ. ჩაერთო 2 192 პირი, 2021 წ. – 2 314 (ივნისის მდგომარეობით).

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებლ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო საგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი.

დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში, დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციის სახით (6 თვე თვეში – 200-200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით, 2020 წ. კომპენსაცია ჯამში მიიღო 162 271 ერთეულმა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

2013 წელთან შედარებით, თითქმის **2-ჯერ გაიზარდა ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება,** 2020 წელს სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივები 5 023,3 ათასი ლარიდან 10 005,7 ათას ლარამდე გაიზარდა. **2012-2021 წლებში, სოციალური დაცვის სფეროში ხორციელდება 24 მუნიციპალური პროგრამა,** მათ შორის, სოციალურად დაუცველი ფენის ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა, გაზიფიკაციის საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფა, ვეტერანების, მათთან გათანაბრებულ პირთა, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულთა შეღავათებით უზრუნველყოფა, მრავალშვილიანი და უდედმამო ბავშვების ოჯახების მატერიალური დახმარება, უპოვართა და მზრუნველობას მოკლებულებულ მოხუცთა მოვლა-პატრონობა, I ჯგუფის უსინათლო შშმ პირთა შეღავათებით უზრუნველყოფა. მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფა და სხვ.

ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ

2014-2020 წლებში, ბათუმის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები: ქ. ბათუმი (პუშკინის ქ. №164/ტბელ აბუსერისძის ქ. №2), 170 საწოლიანი, მრავალპროფილური კლინიკური საავადმყოფოს მშენებლობა – 25 544 643 ლარი (აჭარის ა/რ ბიუჯეტი, დასრულების ეტაპი); ქ. ბათუმი, დევნილთა დასახლების 22 საცხოვრებელი კორპუსის საძირკვლების დამატებითი სამშენებლო სამუშაოები (356 246 ლ); გარე ჰიდრო და თბოიზოლაციის მოწყობა (947 372 ლ); ქ. ბათუმი, ტაბიძის ქ.№7-9 საცხოვრებელი ფართის შესყიდვა (164 ბინა – 7 483 717 ლ).

სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

**ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ. 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲛᲧᲝᲤᲘ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ �გᲐᲠᲐᲜᲢᲘᲔᲑᲘ, ᲓᲐᲘᲮᲕᲔᲬᲐ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲔᲠ�გᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘ.

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბილიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

2013 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა განათლების, კერძოდ, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება. 2020 წელს განათლების სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 16 მლნ 424.7 ათასი ლარით განისაზღვრა, 2013 წელს კი – 7 მლნ 684.0 ათასი ლარით იყო განსაზღვრული.

ბათუმში 33 მუნიციპალური საბავშვო ბაღია, სადაც 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით **აღსაზრდელთა რაოდენობა** 6460-დან 8 095-მდე გაიზარდა. 30 საბავშვო ბაღის 97 ჯგუფში დანერგილია **სასკოლო მზაობის პროგრამა,** რომელშიც ჩართულია 3 485 აღსაზრდელი. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სულ დასაქმებულია 466 **აღმზრდელ-პედაგოგი და 265 აღმზრდელ-თანაშემწე**. საბავშვო ბაღები უზრუნველყოფილია **ფსიქოლოგთა, ლოგოპედთა, სპეც.მასწავლებელთა და ექიმების მომსახურებით.**

მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში, წინა წლებთან შედარებით, **გაიზარდა კვების** ყოველდღიური **ხარჯიც** და თითოეულ აღსაზრდელზე 3.48 ლარი შეადგინა.

მოსახლეობის მხრიდან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობაზე მზარდი მოთხოვნის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს საბავშვო ბაღების **მშენებლობა-რეაბილიტაციას,** რისთვისაც 2013-2016 წლებში 11 მლნ 6 ათასი ლარი დაიხარჯა. აშენდა 7 ახალი საბავშვო ბაღი, 6 არსებულ საბავშვო ბაღის შენობაზე განხორციელდა რეკონსტრუქცია დაშენებით, სრულად რეაბილიტირდა 3 საბავშვო ბაღი, ხოლო 14 საბავშვო ბაღს ჩაუტარდა მიმდინარე რემონტი. **2017 წელს** ურეხის დასახლებაში აშენდა ახალი საბავშვო ბაღი, რაზეც **2 მლნ ლარი** დაიხარჯა. **2018 წელს** დასრულდა ბათუმის №19 საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტი (697,8 ათასი ლარი). თამარის დასახლებაში აშენდა, 245 ბავშვზე გათვლილი, №34 საბავშვო ბაღი (1,6 მლნ ლარი). კეთილმოეწყო ბათუმის №26 საბავშვო ბაღისა (295, 5 ათასი ლარი) და №11 ბაღების ეზოები (168, 3 ათასი ლარი). რეკონსტრუქცია/რეაბილიტაცია ჩაუტარდა №27 საბავშვო ბაღს (794 ,9 ათასი ლარი). ამავე წელს, ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების თანამშრომლებს გაეზარდათ ხელფასი 20%-ით, ასევე საახალწლოდ გაიცა ჯილდო თითოეულზე 160 ლარის ოდენობით; ქალაქის ტრანსპორტის მომსახურებისას თანამშრომლები სარგებლობენ შეღავათიანი ტარიფით. **2019 წელს –** ჩატარდა №31 საბავშვო ბაღის გათბობის სისტემის სრული რეაბილიტაცია და ყველა საბავშვო ბაღში მიმდინარე რემონტი. განხორციელდა №27 საბავშვო ბაღის საძირკვლის გაძლიერებისა და რეაბილიტაციის სამუშაოები (794 990,45 ლარი). **მიმდინარეობს,** 245 ბავშვზე გათვლილი, №35 საბავშვო ბაღის მშენებლობა ლერმონტოვის ქ. №96-ის მიმდებარედ (**1 მლნ 912, 5 ათასი** ლარი).

2013-2020 წლებში ბათუმის მუნიციპალური საბავშვო ბაღების მშენებლობასა და სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე 17,7 მლნ ლარი დაიხარჯა.

ᲖᲝ�გᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

ბათუმში 44 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა, მათ შორის: 27 საჯარო და 17 კერძო სკოლა, სადაც 34 568 მოსწავლე ეუფლება ზოგად განათლებას, მათგან 28 699 მოსწავლე საჯარო სკოლებში ირიცხება. საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესს 1584 მასწავლებელი ემსახურება. ბათუმის საჯარო სკოლებში 55 სპეცმასწავლებელი, 4 ინკლუზიური განათლების კოორდინატორი და 22 ფსიქოლოგია დასაქმებული. 2020 წლის მონაცემებით, მულტიდისციპლინური გუნდის მიერ იდენტიფიცირებულია 401 სსსმ პირი; ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრებში დასაქმებულია 3 ფსიქოლო-

გი და 1 სოციმუშაკი; არაქართულენოვან სკოლებში დასაქმებულია 25 ქართული ენის კონსულტანტ-მასწავლებელი; **ექიმის კაბინეტი** ფუნქციონირებს **27** საჯარო სკოლაში, 21 სკოლაში – რესურსოთახი. 26 საჯარო სკოლას ემსახურება 73 **მანდატური**;

2015 წელს – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთათვის ბათუმის №26 საჯარო სკოლის პირველი სართულის სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა, სადაც ინტეგრირებულ კლასში 62 სსსმ მოსწავლე სწავლობს. შესრულებულ სამუშაოებზე 150 ათასი ლარზე მეტი, ინვენტარის შეძენაზე კი, 40 ათასი ლარი დაიხარჯა. სკოლაში მოქმედებს სპეციალური პროგრამა. აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით, მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან ორჯერადი კვებით. ხოლო მათი ტრანსპორტირება, სპეციალური მიკროავტობუსით ხორციელდება. **2016-2017 ს/წლიდან ბათუმის №13 საჯარო სკოლაში,** შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა 10 **აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლით.** სკოლაში მოსწავლეთათვის შექმნილია მათზე მორგებული, სასწავლო პროცესისათვის სათანადო პირობები და გარემო. **ბათუმის №3 საჯარო სკოლაში** განხორციელდა სპეცმასწავლებლის გადამზადება **უსინათლო ბავშვებთან** მუშაობისთვის საჭირო უნარების შესაძენად.

2013-2021 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ბათუმის მუნიციპალიტეტში, განახორციელა სხვადასხვა პროგრამები. ყოველწლიურად მიმდინარეობს საჯარო სკოლების მშენებლობა/რეაბილიტაცია, ინვენტარით აღჭურვა და სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. კერძოდ მხოლოდ 2013-2016 წლებში აშენდა 2 და რეაბილიტირდა 9 საჯარო სკოლა, რაზეც 3 მლნ 5 ათასი ლარი დაიხარჯა;

აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამით, ბათუმის №1 საჯარო სკოლის მიმდებარედ აშენდა ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, ადაპტირებული სკოლა (**1 მლნ 7 ათას** ლარზე მეტი). **2019 წელს დასრულდა** ბათუმის №18 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია, რომელიც მილენიუმის დაფინანსებით განხორციელდა. **2020 წელს დასრულდა** თბილისის ვ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლის ბათუმის ფილიალის სამშენებლო სამუშაოები (11 მლნ 400 ათასი ლარი). შესყიდული იქნა ბათუმში, სვიშევსკის ქუჩა №1, „ახალი განათლებისა და მეცნიერების ქალაქის“ გენერალური გეგმის დიზაინ კონცეფციის შემუშავების საპროექტო მომსახურება (235 ათასი ლარი). ბათუმში **ადაპტირდა** 25 საჯარო სკოლა. **ცენტრალური გათბობა** ფუნქციონირებს 29 სკოლაში. **ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის პროგრამა** ხორციელდება 1 სკოლაში. **მიმდინარეობს:** ბათუმის №6 სკოლის ახალი კორპუსის მშენებლობა და არსებულის ნაწილობრივი რეაბილიტაცია (2, 8 მლნ ლარი); ბათუმის №23 სკოლის ახალი შენობის მშენებლობა (3,1 მლნ ლარი); №15 სკოლის რეკონსტრუქცია-მიშენება (2,9 მლნ ლარი); №2 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია (549 321 ლარი); დაგეგმილია სახელოვნებო სკოლის მშენებლობა განათლებისა და მეცნიერების ქალაქში 17 000 000 ლარი. დაგეგმილია და 2021 წელს დაიწყება: ბათუმის №9 სკოლის სრული რეაბილიტაცია – 2 850 771 ლარი, ახალი სკოლის მშენებლობა დემეტრე თავდადებულის ქ. №61-ში – 5 000 000 ლარი; №14 საჯარო სკოლის დამატებითი შენობების მშნებლობა – 4 000 000 ლარი; №16 საჯარო სკოლის მშენებლობა – 5 000 000 ლარი.

პროფესიული განათლება

ბათუმში პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს 3 საჯარო დაწესებულება – სსიპ კოლეჯი „ბლექსი“, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია.

ბათუმში 2011 წლიდან ფუნქციონირებს სსიპ კოლეჯი „ბლექსი“, რომელიც მრავალპროფილური ავტორიზებული დაწესებულებაა და 18 საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად (მათ შორის, საგნობრივი/მოდულური/დუალური) ახორციელებს მოკლევადიანი ტრენინგ-კურსებს, ფუნქციონირებს Cisco-ქსელური აკადემია. **2021 წლის** მიღების ფარგლებში, კოლეჯში დანერგილია 10 მოდულური და 8 დუალური პროგრამა. **2020 წელს** პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის პროგრამით, სამინისტროს მიერ კოლეჯი დაფინანსდა 964.4 ათასი ლარით; **2020 წლიდან** კოლეჯმა მოიპოვა ისეთი ტიპის პროფესიული პროგრამის განხორციელების უფლება, რომლის დასრულების შემდეგაც გაიცემა სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებული დიპლომი. **2020-2021 წლებში** განხორციელდა კოლეჯის ახალი შენობის საპროექტო სამუშაოები, რომლის მიხედვითაც, 2021-2022 წლებში, დაიწყება მშენებლობა (12 მლნ ლარი).

სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს მოპოვებული აქვს 7 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება. პროფესიული განათლების ხელშეწყობის მიზნით, 2020 წელს უნივერსიტეტი დაფინანსდა 512.8 ათასი ლარით. 2021 წლის მიღების ფარგლებში, უნივერსიტეტი დაინტერესებულ პირებს სთავაზობს 6 პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამას.

სსიპ – სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია ახორციელებს 20 პროფესიულ-საგნმანათლებლო პროგრამას, მათ შორის, 19 მოდულური და 1 დუალური. პროფესიული განათლების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი დაფინანსდა 777.4 ათასი ლარით. 2021 წლისთვის, **ბათუმში**, ზრდასრულთა **პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების 20 პროგრამა ხელმისაწვდომია 4 დაწესებულებაში.**

ახალგაზრდები სარგებლობენ უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობის ქვეპროგრამით, რომლის ბიუჯეტს შეადგენს: 2022 წელი (20 სტაჟიორი) ბიუჯეტი – 40 000 ლარი, 2023 წელი (20 სტაჟიორი) ბიუჯეტი – 40 000 ლარი, 2023 წელი (25 სტაჟიორი) ბიუჯეტი – 50 000 ლარი, 2025 წელი (25 სტაჟიორი), ბიუჯეტი – 50 000 ლარი.

უმაღლესი განათლება

ბათუმში 3 სახელმწიფო და 4 კერძო უმაღლესი სასწავლებელი ფუნქციონირებს.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი აერთიანებს 9 ფაკულტეტს და 3 კვლევით ინსტიტუტს. სტუდენტები სარგებლობენ 20-მდე სახელობითი სტიპენდიითა და სხვადასხვა სახის სოციალური პროგრამით. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებისთვის, 2015-2016 წლებში, 5 მლნ 500 ათასი ლარი დაიხარჯა. 2020 წელს – სამეცნიერო-კვლევით საქმიანობისათვის 961 640 ლარით დაფინანსდა უნივერსიტეტთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში: 2017 წელს – უნივერსიტეტის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 1 მლნ 342,4 ათასი ლარი დაიხარჯა. 2018 წელს – დასრულდა უნივერსიტეტის ახალი კორპუსის მშენებლობა (2 მლნ 600 ათასი ლარი). აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის შენობის რეაბილიტაცია 145,7 ათასი ლარით, ხოლო ლაბორატორიული აღჭურვილობის შეძენა 1 მლნ 100 ათასი ლარით დაფინანსდა. ამოქმედდა ახალი სასწავლო კორპუსი ღია და დახურული სპორტული კომპლექსებით (3 მლნ 400 ათასი ლარი); ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარეაბილიტაციო სამუშაოებსა და ტექნიკურ უზრუნველყოფაზე 2019-2021 წელს დაიხარჯა: 2019 წელს – 1 მლნ 3038 ათასი ლარი; 2020 წელს – 100 000 ლარი; 2021 წელს გათვალისწინებულია 50 000 ლარი; 2022 წელს – 3 მლნ 500 ათასი ლარი.

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია ISO სტანდარტების შესაბამისად მუშაობს და მის მიერ გაცემული დიპლომი და სერტიფიკატი აღიარებულია საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციისა და ევროკავშირის მიერ. 2017 წელს უსაფრთხოების საზღვაო გლობალური სისტემის (GMDSS) სიმულატორულ-სატრენაჟორო კომპლექსის პროგრამული უზრუნველყოფის განახლებაზე 1 მლნ 300 ათასი ლარი დაიხარჯა; 2020 წელს – საწვრთნელი აუზის მშენებლობა დაფინანსდა 1 მლნ 100 ათასი ლარით;

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს, აჭარის ა/რ მთავრობის გადაწყვეტილებით, 2016 წელს გადაეცა გორგილაძის ქუჩაზე არსებული ორსართულიანი შენობა, რომლის სარეკონსტრუქციო სამუშაოებისა და სასწავლო ინვენტარისთვის 3.5 მილიონი ლარი გამოიყო.

მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში დაგეგმილია: სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა. უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებსა და მოწინავე კომპანიებში სტუდენტების სასწავლო პრაქტიკის დაფინანსება. იგეგმება საზღვარგარეთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ სტუდენტთა დაფინანსება. განხორციელდება საზღვარგარეთ, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის უმაღლეს საგანამანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტებზე ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდიის გაცემა. სტუდენტთა შერჩევა განხორციელდება კონკურსის წესით (2022 წელი – 10 სტუდენტი, ბიუჯეტი 30 000 ლარი). ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ხელშეწყობის ქვეპროგრამის 2021 წლის ბიუჯეტი 1 119 300 ლარია, **2022-2024 წლებში – ქვეპროგრამა გაგრძელდება ყოველწლიური ბიუჯეტით 1 500 000 ლარი.**

„ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება, საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, **2021-2025 წლებში** სასწავლო-სააღმზრდელო წლის ბოლოს, განხორციელდება მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების აღმზრდელთა დაჯილდოება. **ღვაწლმოსილი აღმზრდელები** (სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში ნამსახურები წლები – 25 წელი და მეტი) **მიიღებენ ფინანსურ დახმარებას** ერთჯერადი გასაცემლის სახით.
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, **2021-2025 წლებში** განხორციელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით ინიცირებული პროექტების ხელშეწყობა. ინიციატივების შერჩევა განხორციელდება კონკურსის წესით. საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტი დაფინანსდება 5 000 ლარით. 2022 წელს დაფინანსდება 2 პროექტი (ბიუჯეტი 10 000 ლარი), 2023 წელს – 2 პროექტი (ბიუჯეტი 10 000 ლარი), 2024 წელს ბიუჯეტი – 15 000 ლარი, 2025 წელს, ბიუჯტი – 20 000 ლარი.
- საბავშვო ბაღების ეზოების კეთილმოწყობა და სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებებისა და შესყიდვების განხორციელება. საბავშვო ბაღებში ქუჩაში მოძრაობის წესების შესწავლის კომპონენტის შემოტანა/ეზოების ადაპტირება.
- ადრეულ და სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მომდევნო წლებში გაგრძელდება საბავშვო ბაღების **მშენებლობა, რეკონსტრუქცია/რეაბილიტაცია, დაგეგმილია: 2021-2022 წლებში** – ბათუმის ცენტრალურ უბნებში (ქათამაძის ქ. №32-ის მიმდებარედ და ჯავახიშვილის ქუჩაზე – **5 252 000 ლარი)** 2 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა.
- **2019-2022 წლებში** – 5 საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტი (**5 მლნ 968, 3 ათასი ლარი)** და 6 ახალი ბაღის მშენებლობა (**10,7 მლნ ლარი);** საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნება, აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება.;
- **2021-2023 წლებში** – ჩაქვში, გოგოლიშვილის ქუჩის მიმდებარედ ახალი 4-გუფიანი საბავშვო ბაღის მშენებლობა. სკოლამდელი დაწესებულებების თანამშრომელთა ხელფასების მატება, ყველა სახელმწიფო სტანდარტის დაცვის კონტროლის გაძლიერება. ახალი საბავშვო ბაღებისათვის ადგილების შერჩევა/პროექტირება.
- **2024 წელს** – ბათუმის ცენტრალურ უბნებში 2 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა. აღმზრდელ-პედაგოგთა სერტიფიცირების პროექტის დასრულება და სკოლამდელი აღზრდის სფეროში მიმდინარე რეფორმის დამასრულებელი სტადიის დაწყება.
- გაიზრდება განათლების ხელმისაწვდომობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისათვის. მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება: ქ. ბათუმის ტერიტორიაზე მცხოვრები №13 და №17 საჯარო სკოლების 15 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ტრანსპორტით მომსახურება. 2022 წელი – (15 მოსწავლე) ბიუჯეტი 12 000 ლარი, 2023 წელი (20 მოსწავლე) ბიუჯეტი 15 00 ლარი, 2024 წელი (20 მოსწავლე) ბიუჯეტი 15 000 ლარი, 2025 წელი (20 მოსწავლე) ბიუჯეტი 15 000 ლარი. ასევე, განხორციელდება აჭარაში მცხოვრები სმენის დარღვევის მქონე, სსიპ ქალაქ ქუთაისის №45 საჯარო სკოლა-პანსიონის მოსწავლეთა ყოველკვირეული ტრანსპორტირება ბათუმიდან ქუთაისში და პირიქით.
- 2020-2021 წლებში, განათლების ქალაქის ფარგლებში, დაგეგმილია ინოვაციური ცენტრის პროექტირება და სახელოვნებო სკოლის მშენებლობა (10 000 000 ლარი);
- გაუმჯობესდება ინფრასტრუქტურა ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში; გაგრძელდება საჯარო სკოლების მშენებლობა/რეაბილიტაცია: ბათუმის №9 სკოლის სრული რეაბილიტაცია (2 850 771 ლ), ახალი სკოლის მშენებლობა დემეტრე თავდადებულის ქ. №61-ში (300 000 ლ), №14 საჯარო სკოლის დამატებითი შენობების მშენებლობა (300 000 ლ), №16 საჯარო სკოლის მშენებლობა (300 000 ლ),
- განხორციელდება კოლეჯი „ბლექსის“ ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა.
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული **შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;** გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო **დაფინანსება,** შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის **დაფინანსების ახალი მოდელი**, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების **სტრატეგიული გეგმა**, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდული პოლიტიკა

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 2012 წლის ოქტომბრიდან, საქართველომ მიაღწია არსებით წინსვლას, პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულტურის განვითარებას, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასა და აღდგენა-რესტავრაციას, ქვეყანაში სპორტის განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.

კულტურა

ბათუმი დასავლეთ საქართველოს უდიდესი კულტურის ცენტრია, რასაც ქალაქში კულტურული დანიშნულებისა და ხელოვნების ობიექტების სიმრავლეც ადასტურებს.

2021 წელს კულტურის სფერო 16 461 179 ლარით დაფინანსდა, 2013 წელს კი ეს მაჩვენებელი 4 მლნ 848,9 ათასი ლარი იყო.

2020 წელს, პანდემიის გამო, დაგეგმილი ხალხმრავალი ღონისძიებები ვერ ჩატარდა, თუმცა კულტურულმა აქტივობებმა ონლაინ სივრცეში გადაინაცვლა და კულტურის სფეროს მუშაობა გაგრძელდა ყველა მიმართულებით. სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულმა სახელოვნებო დაწესებულებებმა (მუზეუმების, თეატრების, ანსამბლებისა და სხვა) და სახელოვნებო სკოლებმა დაიწყეს მასობრივი **ონლაინ კამპანია #დარჩისახლში, #ხელოვნებასმოვიტანთთქვენთან**, რაც მრავალფეროვან კულტურულ სერვისებზე დისტანციურ ხელმისაწვდომობას გულისხმობდა.

აჭარის ა/რ განათლების, კულტურის და სპორტის მინისტრის ბრძანებით, 7 მაისს შეიქმნა საკონსულტაციო საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს, ახალი კორონავირუსის გავრცელების პირობებში, რეგიონის კულტურის სფეროში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებასა და გაანალიზებას, აღნიშნული გამოწვევების დაძლევის გზების, ახალი შესაძლებლობებისა და სამომავლო გეგმების დასახვას. პანდემიის მიზეზით შექმნილი გამოწვევების მიუხედავად, შემცირებული ბიუჯეტი არ შეეხო სახელფასო ფონდს, მეტიც **სახელოვნებო სკოლების პედაგოგებისა და ხელოვნების უნივერსიტეტის ლექტორ-მასწავლებლების ხელფასები გაიზარდა** (საშუალოდ 20%-ით), 2020 წელს ბევრი, მათ შორის საერთაშორისო, პროექტი შეცვლილი ფორმატით განხორციელდა.

პანდემიის მიუხედავად, გამოცხადდა ფესტივალებისა და თავისუფალი ინიციატივების მხარდამჭერი საგრანტო კონკურსები, დაფინანსდა 7 ფესტივალი (მათ შორის საერთაშორისო) და 3 თავისუფალი ინიციატივა. ბოლო წლების მანძილზე, პირველად, 2020 წელს, აჭარის მუნიციპალიტეტების კულტურის ცენტრებთან არსებული ანსამბლებისთვის, შეძენილია 114 ერთეული ქართული ხალხური ინსტრუმენტი და 108 ხელოვანისთვის ტრადიციული სასცენო სამოსი. კულტურის ღვაწლმოსილ 76 მოღვაწე იუბილარს გადაეცა ფულადი ჯილდო (300 ლარი), საიუბილეო წელთან დაკავშირებით, გამოიცა ქ-ნ ნინო ნიჟარაძის ნამუშევრების ორენოვანი ალბომი. **სულ სამინისტროს პროგრამების მხარდაჭერით განხორციელდა 26 მსხვილი პროექტი და დაიხარჯა დაახლოებით 500 000 ლარი.**

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და მის საქვეუწყებო ორგანიზაციებში კულტურის მიმართულებით დასაქმებულია 2 000 ადამიანი. ორგანიზაციებმა 2020 წელს განახორციელეს 250-ზე მეტი პროექტი.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად კულტურაში, მომდევნო წლებშიც რჩება რეგიონში კულტურის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია: შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება; ბათუმის, როგორც ფესტივალების ქალაქის პოზიციონირების გაგრძელება და მრავალფეროვანი საერთაშორისო კონკურსების და ფესტივალების განხორციელება; არამატერეალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და პოპულარიზაციის მიზნით მრავალფეროვანი პროექტების მხარდაჭერა, მათ შორის რეწვის ოსტატების პროექტების.

2021 წელს სახელოვნებო დაწესებულებების გეგმის მიხედვით განხორციელდება: დრამატულ თეატრში 7 სპექტაკლის დადგმა, მათ შორის სახელოვანი ქართველი რეჟისორების რობერტ სტურუას, დათო დოიაშვილის და სხვათა მიერ. ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი გეგმავს, როგორც ძველი რეპერტუარის აღდგენას ასევე ახალი სპექტაკლების შეთავაზებას. ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრიც რეგულაციების დაცვით შემოგვთავაზებს შერეულ კონცერტებს. 2021 წელს უკვე დაფინანსდა უპრეცენდენტო რაოდენობის პროექტი თავისუფალი პროექტების მხარდამჭერი კონკურისის ფარგლებში, წლის დასაწყისში კონკურსის ბიუჯეტი იყო 60 000 ლარი, ბიუჯეტის კორექტირების შემდეგ მთავრობის გადაწყვეტილებით გაიზარდა და შეადგინა 260 000 ლარი, დაფინანსდა 26-ვე პროექტი. 2021 წელს ფესტივალების კონკურსის ბიუჯეტია 300 000 ლარი, ერთი ფესტივალის მაქსიმალური დაფინანსებით 40 000 ლარი. ასევე პირველად რეგიონში გამოცხადებულია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაციისთვის აჭარაში მოქმედი საოჯახო ანსამბლების კონკურსი, რომელიც მათი ცნობადობის ამაღლებას შეუწყობს ხელს

ქალაქში 1200 მაყურებელზე გათვლილი თანამედროვე მუსიკალური ცენტრი და საზაფხულო თეატრი ფუნქციონირებს. 2016 წლის იანვარიდან ,ბათუმის თოჯინებისა და მოზარდმაყურებელთა სახელმწიფო თეატრი განახლებულ შენობაში მასპინძლობს პატარებს, ქართული ფოლკლორისა და რეგიონის პოპულარიზაციას 96 წელია ემსახურება აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი, რომელსაც 2017 წელს „არსიანი“ ეწოდა. **2013 წლიდან დღემდე შეიქმნა ხელოვნების 3 ახალი სივრცე:** თეატრის მოყვარულებისათვის „ახალი სცენა“, მხატვრებისათვის დამატებითი სივრცე ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში და თანამედროვე ხელოვნების გალერეა.

ბათუმის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ექვსი სახელოვნებო სკოლა. ხელოვნებისა და კულტურის მძლავრი კერაა **ბათუმის კულტურის ცენტრი,** რომელიც ხელოვნების სხვადასხვა მიმართულების მქონე რამდენიმე შემოქმედებით კოლექტივს აერთიანებს. **2016 წლის 14 ოქტომბერს, ფონდის „ქართუ“ მხარდაჭერით, ბათუმში გაიხსნა „მწერალთა სახლის” რესტავრირებული შენობა.**

ბათუმი ყოველწლიურად მასპინძლობს საერთაშორისო ფესტივალებსა თუ კონცერტებს, რომელშიც მსოფლიოში ცნობილი მუსიკოსები და ხელოვანები მონაწილეობენ; 2013-2016 წლებში ბათუმში ხელოვნებისა და კულტურის მიმართულებით 150-ზე მეტი პროექტი განხორციელდა. ტრადიციად იქცა და საერთაშორისო აღიარება მოიპოვა პროექტებმა, „შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალი“, „კლასიკური მუსიკის ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი“, „ქალაქური მუსიკის ფესტივალი“, „ექსპერიმენტული მუსიკის ფესტივალი“ და სხვ.

2018 წლის ქვეპროგრამით **„კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“** დაფინანსდა 23 პროექტი (150 000 ლარი, ფესტივალების ორგანიზებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოიყო 434 000 ლარი).

საბიბლიოთეკო ფონდების ორგანიზებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, ბათუმში **ფუნქციონირებს ა(ა)იპ – „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“, რომელიც ფინანსდება მერიის ბიუჯეტიდან.** 2015-2017 წლებში განახლდა არსებული ელექტრონული პროგრამები, ბიბლიოთეკა აღიჭურვა სპეცტექნიკით. 2018-2020 წლებში შეძენილია 8026 ეგზემპლარი (113 647.87 ათასი ლარი) წიგნი, 12546 ეგზემპლარი (23362,20 ათას ლარამდე) ჟურნალ-გაზეთი, შექმნილია 19 945 289 ელექტრონული კატალოგი, მოეწყო 287 კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება, 280-დე საკლუბო შეხვედრა და 234 თემატური გამოფენა. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლინდა, რომ **ევროპის ქვეყნებში არსებული 150 ამერიკული კუთხიდან ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის „ამერიკული კუთხე“ მოხვდა ათეულში, რის გამოც აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა საკუთარი სახსრებით ბიბლიოთეკის „ამერიკულ კუთხეს“ ჩაუტარა თანამედროვე მოთხოვნის შესაბამისი რემონტი და აღჭურვა ინვენტარ-მოწყობილობებით.** ამასთან, 2016 წელს, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა (საიდანაც ბიბლიოთეკა დამატებით გრანტის სახით ფინანსდება) ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა 95 ათასი ლარის თანამედროვე ტექნიკა. 2019 წელს, აშშ-ს მთავრობის გრანტის საკუთარი შემოსავლებიდან, კეთილმოეწყო, მოიკირწყლა და ქვიშა-ღორღით მოპირკეთდა 90 კვ.მ ეზო, მოეწყო ახალი საყვავილეები და განხორციელდა სარემონტო სამუშაოები (9 846.5 ლარი). **2021 წელს** აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკასა და საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილებაში ჩატარდა 75 კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიება;

ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში განხორციელდა: აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის შენობის სრული რეაბილიტაციისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღჭურვა (1 მლნ 173, 5 ათასი ლარი). ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დამატებითი სივრცის მშენებლობა (380 ათასი ლარი). „ახალი სცენის” მშენებლობა (240, 8 ათასი ლარი), ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის სრული რეაბილიტაცია და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღჭურვა (1 მლნ 570, 4 ათასი ლარი). აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები (771 ათასი ლარი), ბათუმის არქეოლოგიური მეზეუმის სრული რეაბილიტაცია (1 მლნ 155 ათასი ლარი), დამატებითი სივრცის მოწყობა ძმები ნობელების მუზეუმში (240 ათასი ლარი).

2014 წლიდან აჭარის მთავრობამ დაიწყო **გონიოს ციხის ინფრასტრუქტურული განვითარების პროგრამის განხორციელება,** რომელიც გულისხმობს მუზეუმ-ნაკრძალში თანამედროვე ტიპის მუზეუმის მოწყობას. ამავე წელს ჩატარდა არქეოლოგიური უბნების საკონსერვაციო სამუშაოები (96, 6 ათასი ლარი), **2015-2016 წლებში** განხორციელდა გონიოს მუზეუმ-ნაკრძალის ინფრასტრუქტურული მოწყობა (885 ათასი ლარი). **2017 წელს დასრულდა** ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის მცირე სცენის ინფრასტრუქტურის მოწყობა (67,4 ათასი ლარი). განხორციელდა მუზეუმების სარეაბილიტაციო ინფრასტრუქტურული პროექტები, ასევე – აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლ „არსიანის“ შენობის ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა (111, 7 ათასი ლარი), ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის სარეაბილიტაციო სამუშაოები (რესპუბლიკური ბიუჯეტი 491,4 ათა-

სი ლარი), აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლ „ბათუმის“ შენობის ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა (131 ათასი ლარი) და აჭარის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „ხორუმის“ შენობის რეაბილიტაცია (52, 6 ათასი ლარი); **2017-2018 წლებში,** ბათუმში, ისტორიული ძეგლების რეაბილიტაციაზე სულ 701, 3 ათასი ლარი დაიხარჯა. **2019-2020 წლებში** გონიოს ციხის სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოებში დაიხარჯა – 292,6 ათასი ლარი; 2**020 წელს დასრულდა:** ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარის რეაბილიტაციის პროექტის შესყიდვა; ავარიული ძეგლების სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები; შშმ პირებისთვის ხელოვნების ცენტრის შენობის ადაპტირება; მუსიკალური ცენტრის ბალანსზე რიცხული შენობის (ახემეტელის ქ. №5) სარემონტო/სარეკონსტრუქციო სამუშაოები; მელიტონ ბალანჩივაძის ხელოვნების სკოლაში სველი წერტილების მოწყობა; 2019-2020 წლებში განხორციელდა აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები; **მიმდინარეობს:** ავარიული ძეგლების რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა (298,8 ათასი ლარი); ხეივნის რეკონსტრუქციის სამუშაოები (107,7 ათასი ლარი).

2018-2022 წლებში, დაგეგმილია ისტორიული ძეგლების სარეაბილიტაციო 18 პროექტი, რაზეც, საერთო ჯამში, 4,9 მლნ ლარი დაიხარჯება. მათ შორის, 1,2 მლნ ლარი გონიოს ციხის მიმდინარე სამშენებლო-სარეაბილიტაციო და საკონსერვაციო სამუშაოებზეა გათვალისწინებული;

- **2022-2025 წლებში გაგრძელდება გონიოს ციხის ინფრასტრუქტურული განვითარება – 600 ათასი ლარი.**
- **2021-2022 წლებში განხორციელდება ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარისა და ბათუმის მეჩეთის რეაბილიტაცია – 608 ათასი ლარი;**
- **2022-2025 წლებში ბათუმის ტერიტორიაზე არსებული ავარიული ძეგლების მცირე რეაბილიტაცია – 240 ათასი ლარი;**
- **2022-2025 წლებში ბათუმის ტერიტორიაზე არსებული ავარიული ძეგლების სრული რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა – 3, 2 მლნ ლარი;**

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

სპორტის მიმართულებით პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი სპორტული ფედერაციების დაფინანსებას ახორციელებს. 2013 წელს 34 სპორტული ფედერაციის დასაფინანსებლად 613, 4 ათასი ლარი იყო გამოყოფილი, 2018 წელს 36 ფედერაცია 1 მლნ 300 000 ლარით დაფინანსდა. დეპარტამენტის მიერ ყოველწლიურად ხორციელდება სპორტის ყველა ოლიმპიური და 12 პარალიმპიური სახეობის ფინანსური უზრუნველყოფა, ტარდება საერთაშორისო დონის ასპარეზობები, ბათუმელი სპორტსმენები გამოირჩევიან მიღწევებით სხვადახვა ღონისძიებაში.

2021 წელს სპორტის მიმართულება 16,663.5 ლარით დაფინანსდა, 2013 წელს კი ეს მაჩვენებელი 12 მლნ 650 ათასი ლარი იყო;

2013-2017 წლებში, ბათუმში გაიმართა აჭარის 237 ჩემპიონატი, რაზეც 666, 2 ათასი ლარი დაიხარჯა. ამავე წელს ბათუმმა საქართველოს 30 ჩემპიონატსა და 115 რესპუბლიკურ და საერთაშორისო ტურნირსაც უმასპინძლა, რისთვისაც 541 ათასი ლარი დაიხარჯა. **ბათუმს ექვსი მსოფლიო ჩემპიონი** (როსტომ აბაშიძე, მუხრან ვახტანგაძე, დავით ბედინაძე, რუსუდან სიხარულიძე, სალომე მელია, ნინო ბაციაშვილი) და **3 ოლიმპიური პრიზიორი** (ვარლამ ლიპარტელიანი, ირაკლი თურმანიძე, შმაგი ბოლქვაძე) ჰყავს. მრავლად ჰყავს, აგრეთვე, როგორც საქართველოს, ასევე ევროპის ჩემპიონი და პრიზიორი.

2013-2017 წლებში სპორტსმენებისა და მწვრთნელების ფულად ჯილდოებზე 105 ათას ლარამდე, ხოლო საქართველოს ჩემპიონისა და პრიზიორის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონებისა და პრიზიორების ფინანსური უზრუნველყოფაზე 913, 7 ათასი ლარი დაიხარჯა. **2018 წელს** აჭარის ნაკრები გუნდების წევრთა, მთავარ და პირად მწვრთნელთა მიერ მიღწეული განსაკუთრებული წარმატებების წასახალისებლად ერთჯერადი ფულადი ჯილდოებისთვის 572 ათასი ლარი, სპორტულ ღონისძიებებზე – 1 მლნ 335 ათასი ლარი, სათამაშო და ინდივიდუალურ სახეობათა განვითარების ხელშესაწყობად – 811 ათასი ლარი, მწვრთნელთა, მსაჯთა და სპორტსმენთა სოციალური მხარდაჭერისა და წახალისებისთვის – 169, 5 ათასი ლარი დაიხარჯა.

„სათამაშო და ინდივიდუალურ სახეობათა განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამით, 800 სპორტსმენსა და მწვრთნელს დაურიგდა სპორტული ფორმა, სპორტის 22 სახეობისათვის შეძენილი იქნა სპორტული ინვენტარი. აღსანიშნავია, რომ 2018 წლის ოქტომბერში ბათუმმა უმასპინძლა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადას, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 180 ქვეყნის 2 000-ზე მეტმა სპორტსმენმა.

2019 წელს ქვეპროგრამით „**სპორტული ღონისძიებები“ (2 057 445 ლარი)** დეპარტამენტმა დააფინანსა აჭარაში არსებული 38 სპორტული ფედერაცია, ჩატარებულია ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში, საერთაშორისო ტურნირები სპორტის სხვადასხვა სახეობებში(მონაწილეობდა 4 600-მდე სპორტსმენი და მწვრთნელი);

ქვეპროგრამით „**აჭარის ნაკრები გუნდების წევრთა, მთავარ და პირად მწვრთნელთა მიერ მიღწეული განსაკუთრებული წარმატებების წასახალისებლად ერთჯერადი ფულადი ჯილდოები“ გაიცა 619 740 ლარი**.

ქვეპროგრამით „**სათამაშო და ინდივიდუალურ სახეობათა განვითარების ხელშეწყობა“ (806 790 ლარი)** აჭარის ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრების 320 სპორტსმენი და მწვრთნელი სასწავლო-საწვრთნო შეკრებებში მონაწილეობდა; ქვეპროგრამით „**მწვრთნელთა, მსაჯთა და სპორტსმენთა სოციალური მხარდაჭერა და წახალისება“ გაცემულია 156 079 ლარი.**

პროფესიული სპორტის განვითარებასთან ერთად, ბათუმის მუნიციპალიტეტი აქტიურად ზრუნავს ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, ხორციელდება სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა სპორტის სხვადასხვა სახეობის მიხედვით. **მოზარდებისათვის** სხვადასხვა სპორტული სექცია **არის უფასო.**

სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, 2014-2016 წლებში, ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაიხარჯა 5 მლნ 9 ათასი ლარი, რომლითაც სრულად რეაბილიტირდა 6 და მოეწყო 8 ახალი მინისტადიონი. ინფრასტრუქტურის მოწყობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებისათვის, **2014-2017 წლებში,** 90 ათას ლარამდე დაიხარჯა. **2017 წელს – დასრულდა და ექსპლუატაციაში შევიდა საერთაშორისო სტანდარტების რაგბის სტადიონი** (აშენდა საქველმოქმედო ფონდის „ქართუ“ მხარდაჭერით. საერთო ღირებულება 7 მლნ ლარზე მეტი, აქედან 3 მლნ 5 ათასი ლარი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან). ქ. ბათუმის საჩოგბურთთო კომპლექსის ინფრასტრუქტურის მოწყობა 54,6 ათასი ლარით დაფინანსდა. **დასრულდა სპორტკომპლექსის მშენებლობა ანგისის დასახლებაში (4 მლნ 116, 2 ათასი** ლარი). ბაზა ორ მოედანსა და მშვილდოსნობის არენას აერთიანებს. 7,5 ჰა-ზე მოწყობილი კომპლექს ადაპტირებულია შშმ პირთათვის. **2018 წელს** – სპორტული ინფრასტუქტურის მოწყობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2 მლნ. 530, 6 ათასი ლარი დაიხარჯა. **2019 წელს – დასრულდა** სპორტკომპლექსის მშენებლობა ლეონიძის ქუჩაზე (63 989 980 ლარი); მოეწყო 2 სპორტული მოედანი.

2020 წელს დასრულდა UEFA-ას IV კატეგორიის საფეხბურთო სტადიონის მშენებლობა, ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე, რაზეც 143 958 351,51 ლარი დაიხარჯა.

2020-2021 წლებში, ქ. ბათუმის სასპორტო სკოლისთვის შეძენილია სპორტული ინვენტარი (7,3 ათასი ლარი); **2021 წელს** ბათუმში დასრულდა სპორტული მოედნების სარეაბილიტაციო სამუშაოები 7 მისამართზე; **მიმდინარეობს** სპორტული მოედნების სარეაბილიტაციო სამუშაოები 11 ობიექტზე (ჯამურად 1 მლნ 491 890 ლარი); **2021 წელს დასრულდება** ახალი, მრავალფუნქციური, საერთაშორისო სტანდარტების სპორტის სასახლის მშენებლობა (15 მილიონი ლარი).

ახალგაზრდობის სპორტში ჩართულობის მიზნით, მერია ახორციელებს პროექტს **„ეზოს ფეხბურთი“,** რომლის ფარგლებშიც ქალაქის ადმინისტრაციულ უბნებში ჩამოყალიბდა 32-მდე საფეხბურთო გუნდი (მათ შორის ორი გოგონათა) 500-მდე ახალგაზრდის მონაწილეობით. საშემოდგომო და საგაზაფხულო ლიგა – **„აამაღლე შენი თამაში“** მნიშვნელოვანი ტურნირია ქუჩის კალათბურთის მოყვარულებისათვის.

2017 წლის მაისში, ბათუმში დაფუძნდა **კლუბი „ვორიორს ბათუმი“,** რომელიც **შეზღუდული შესაძლებლობისა და აუტისტური სპექტრის მქონე** 6-დან 15 წლამდე ბავშვებს აერთიანებს.

„სპორტული ცენტრის“ ბაზაზე ჩამოყალიბებულია ზამთრის სპორტული სახეობების სექციები (ჰოკეი და ფიგურული ციგურაობის ჯგუფები) – სპორტული ცენტრით (ყინულის მოედნით) სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ პირს, დაწესებულია შეღავათიანი ტარიფები.

2018 წლის 7 აგვისტოს ბათუმს მიენიჭა ევროპის სპორტის ქალაქის სტატუსი.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

აჭარის რეგიონის ახალგაზრდების სამოქალაქო ცხოვრებაში ჩართულობის მიზნით, 2013 წლის შემდეგ, ახალგაზრდობის მიმართულებით განხორციელდა სხვადასხვა ტიპის 30-მდე ღონისძიება, დაფინანსდა 50-მდე ახალგაზრდული ორგანიზაციის თავისუფალი ინიციატივები, ასევე, ახალგაზრდული ორგანიზაციები დაფინანსდა სხვადასხვა, მათ შორის, შშმ პირთა ჩართულობის ხელშეწყობისათვის. საერთაშორისო გამოცდილების მიღების მიზნით, დეპარტამენტმა ასევე დააფინანსა 163 სტუდენტის მგზავრობის ხარჯი. რეგიონის ახალგაზრდების საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიღებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, განხორციელდა საერთაშორისო ფორუმი „რეგიონის განვითარება და ახალგაზრდობის როლი”.

2015 წელს 38 ათასი ლარით დაფინანსდა სამთო-ახალგაზრდული ბანაკის მოწყობა საქართველოს მთიანეთში (სვანეთი, რაჭა და ყაზბეგი), ახალგაზრდებისათვის სხვადასხვა სერვისზე ხელმისაწვდომობის გამარტივებისა და ახალგაზრდობის განვითარებაზე მორგებული პროექტების განხორციელების მიზნით, ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ მოეწყო ახალგაზრდული ცენტრი, რომელიც აღიჭურვა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და საბიბლიოთეკო ინვენტარით, შენობა ადაპტირდა შშმ პირებისათვის. **2018 წელს ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს ხელშეწყობად, ქალაქის ბიუჯეტიდან 158 ათასი ლარი გამოიყო.**

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის გარდა, ახალგაზრდობის სფეროს განვითარებაზე ზრუნავს აჭარის ა/რ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი. თუ ახალგაზრდობის მიმართულებით დეპარტამენტმა 2012 წელს 248 ათასი ლარი დახარჯა, 2017 წელს დაფინანსება ამ მიმართულებით მკვეთრად – 385 ათას ლარამდე გაიზარდა.

2018 წელს ახალგაზრდული აქტივობებისთვის 1 მლნ 241, 4 ათასი ლარი გამოიყო. **2019 წელს** – დაფინანსდა და განხორციელდა 14 პროექტი. მუნიციპალური ბიუჯეტიდან 2019 წელს ახალგაზრდობის ინიციატივებისთვის გამოიყო 98 529 ლარი. **2020 წელი –** აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის მიერ განხორციელდა 11 ღონისძიება.

2019 წელს შეიქმნა სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი. 2020 წელს ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, ქვეყანაში არსებული რეგულაციების გათვალისწინებით, ცენტრმა განახორციელა შემდეგი პროგრამები: არაფორმალური განათლებისა და თავისუფალი დროის სწორად მართვის ხელშეწყობა (ბიუჯეტი 113 310 ლარი), ახალგაზრდული ცნობიერების ამაღლება და მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა (ბიუჯეტი 170 054 ლარი) და ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების მხარდაჭერა (ბიუჯეტი 90 103 ლარი).

ᲩᲔᲛᲝ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲔᲑᲝ!

ბათუმი არის ქალაქი, რომელთანაც მთელი ჩემი ცხოვრებაა დაკავშირებული. ამ ქალაქში დავიბადე, გავიზარდე და ჩამოვყალიბდი. დიდი პატივია, ემსახურო საკუთარ ქალაქს, მაგრამ კიდევ უფრო დიდი პასუხისმგებლობაა, განსაზღვრო მისი მომავალი.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში, საშუალება მქონდა, ახლოს გავცნობოდი ბათუმის წინაშე არსებულ გამოწვევებს; დღეს კი ზუსტად ვიცი, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ დროულად და ეფექტურად გადაიჭრას არსებული პრობლემები, უკეთ და სწორად განვითარდეს ჩვენი ქალაქი, არ შეჩერდეს დაწყებული პროგრესი და ბოლომდე მივიყვანოთ ყველა მნიშვნელოვანი პროექტი.

ამიტომ, ვისაც გაქვთ სურვილი, საკუთარი წვლილი შეიტანოთ და ჩაერთოთ ბათუმის უკეთესი მომავლის შექმნაში, თქვენი მხარდაჭერით, ერთად, შევძლებთ, ბათუმი გახდეს კიდევ უფრო წარმატებული, სუფთა, მწვანე, მოქალაქეების საჭიროებებზე მორგებული და მეტად განვითარებული ქალაქი.

მე, არჩილ ჩიქოვანი, მზად ვარ, ვიყო თქვენს სამსახურში ჩვენი ქალაქის უკეთესი მომავლისთვის.

ერთად ბათუმისა და ბათუმელების გამარჯვებისთვის!

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:

- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;

- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;

- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;

- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;

- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;

- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;

- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.